№ 27 9 მარტი, ოთხშაბათი 1866—1877 9 მარტი, ოთხშაბათი № 27

რედაქცია
Განოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, Ამატურის სახლებში.

ხელის-მოწერა
Редакціяში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ контору редакціи газеты „Дроэба", при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
Ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
Დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

ქალაქის ურიების გადასახლება

Ამ ერთის თვის წინათ ჩვენს ქალაქში გავარდა ხმა, რომ ურიები უნდა გადასახლონო, ახალმა პოლიციმეისტერმა რაღაც კანონი მონახაო, რომლის ძალითაც ურიებს უფლება არა აქვთო, რომ ქალაქში იცხოვრონო და ამის გამო მოიხმო ყველა ქალაქის ურიებიო და გამოუცხადა იმათაო, რომ ამ ორის თვის განმავლობაში გაწმინდეთ ყველა თქვენი საქმეები და უეჭველად გაებარგენით თფილისიდამაო.

ეს ხმა მართალი გამოდგა. თქვენი მტერი დაფთხობილა ისე, როგორც ჩვენიურიებიდაფთხენენ. როგორც მოგეხსენებათ ურიების გაძრომ-გამოძრომის დაფაცა-ფუცის ამბავი, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, აქ არზა შეიტანეს, იმას შეეხვეწნენ, — და ბოლოს, როგორც ამბობენ, იმათი საქმე ახლა კარგათ მიდისო, ე. ი. იმათი გადასახლების საქმე დროებით შეაჩერესო.

Ამ ხმის გავრცელებამ, მართალი გითხრათ, პირველად ჩვენ ცოტათი როდი გაგვაკვირვა; არ გვჯეროდა, რომ თფილისის პოლიცია ახლა მოიფიქრებდა იმ კანონის გახსენებას, რომლის ძალითაც ურიებს აღკრძალული აქვთ აქ დასახლება, და რომელიც დიდი ხანია დავიწყებას მიუციათ.

თფილისში ამ ჟამად ორი ათასზე მეტია ურია ცხოვრებს თუ მუდამ და თუ დროებით. Ყველა ესენი ვაჭრობენ; ზოგიერთებს დიდი ვაჭრობა, ძვირფასი მაღაზიები აქვთ. თითქმის ყველა ქალაქის მესაათეები და ოქროჭედლები ურიები არიან. Დიდი უსამართლობა და შეუბრალებლობა იქნებოდა, რომ ერთს მშვენიერ დღეს ეთქვათ ამათთვის: მიატოვეთ თქვენი ყოველივე ქონება, აებარგენით და მიბრძანდით აქედამაო!

Უნებლიეთ ერთი ანექდოტი გვახსენდება აქ: ჩვენს ქალაქში ცხოვრებს ერთი ჭკვიდამ შეშლილი გადმდგარი აფიცარი, რომელსაც მთელი ქალაქი და განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზდა ქალები კარგათ იცნობენ, იცნობენ ცუდის მხრით, როგორც ზნეობით გაფუჭებულ კაცს. მობეზრებულ პოლიციას ამ კაცის გადასახლება უნდოდა თურმე ამას წინათ სადღაც სხვა ქალაქში. როდესაც პოლიციამ მოიხმო ეს კაცი ამ განკარგულების გამოსაცხადებელად, იმან სთქვა, რომ „მე, რასაკვირველია, მეტი გზა არა მაქვს, დავემორჩილები თქვენს ბრძანებასაო; მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ — იმ ქალაქმა კი რაღა დაუშავა, სადაც ახლა მაგზავნით!"

Სწორეთ ამ გვარადვე შეეძლოთ ჩვენებურ ურიებსაც ეთქვათ თფილისის პოლიციმეისტრისათვის: „თუ აქ მავნებელნი წევრნი ვართ, თუ აქაურ ხალხისათვის შემავიწროებელნი ვართ, იქ რაღა ვიქნებით, საცა გვაგზავნით, იმ ქალაქმა რაღა დაუშავა!"

Ან განა მარტო ურიები არიან ჩვენში, მართლა, ისეთი ხალხი, რომლისგანაც ჩვენს ხალხს შევიწროება და მწუხარება აქვს მიყენებული? მიიხედ-მოიხედეთ და იქნება სხვა ვინმეებიც ნახოთ, რომელთაგან ჩვენს ხალხს ნაკლები შევიწროება არა აქვთ მიყენებული. Სადამდი წავალთ, რომ გადავასახლოთ ყველა, ვისგანაც რაიმე შევიწროება აქვს ხალხს? ლოგიკურად თუ მოიქცევით, ჩვენ არ ვიქნებით ამ განკარგულების წინააღმდეგნი....

Მაგრამ, სანამ ამ გვარ ზომებს მივმართავდეთ, ურიგო არ იქნება სხვა ქვეყნებს მივაქციოთ ყურადღება.

Დანარჩენ ხალხის შედარებით, მგონი, არსად არ ცხოვრობს იმდენი ურია, რამდენიც საფრანგეთში. Მაგრამ იქ იმათი მდგომარეობა სრულებით ისეთი არ არის, როგორიც სხვაგან. Საფრანგეთის, შვეიცარიის და Ამერიკის ურია სრულებით არაფრით არ განირჩევა ნამდვილ ფრანცუზ, შვეიცარიელ და ამერიკელ მოქალაქისაგან; ამ ქვეყნებში იმათ აქვთ მინიჭებული ყველა ის უფლება, რაც დანარჩენ მოქალაქეებსა აქვთ. Იმათ შეუძლიანთ იცხოვრონ, სადაც ჰსურთ, ივაჭრონ როგორც სხვები ვაჭრობენ, იმსახურონ ყველა სამსახურში, ილოცონ და ისწავლონ როგორც ნებავთ. Და აი ამ სრულის თავისუფლების წყალობით, იქაური ურიები თავის ცხოვრებითა და ხასიათით არ განირჩევიან დანარჩენ ხალხისაგან; იმათ იქ „წურბელაებათ" როდი სთვლიან, რადგან მართლა რომ იმათი „წურბელაობა" სხვებისაგან არ განირჩევა, ისინიც იმ წესით ვაჭრობენ, როგორც სხვები; ისინიც იმ რიგათვე არიან პატივცემულნი ან უპატივცემულნი, როგორც სხვები იმათის ხელობისანი.

Ჩვენი მმართებლობაც ამ გზას ადგას და იმიტომ ახლა თან-და-თან ეძლევა რუსეთის ურიებს ყველა ის უფლება, რაც დანარჩენ რუსებსა აქვთ. ეს ხომ დამტკიცებული ჭეშმარიტებაა, რომ შევიწროება და სდევნა თუ უარესად არ ჰრყვნის და აფუჭებს კაცს, თორემ ხასიათს ვერ უსწორებს და ანგელოზად ვერ ჰხდის. მმართებლობამ გაიგო, რომ ეს ურიების შევიწროება, ერთ ალაგიდამ მეორეზე გადასახლება, ვაჭრობის აღკრძალვა და სხვა ამ გვარები, იმათ სრულებით ვერ მოარჯულებს; გაიგო, რომ ეს იმას ჰგავს, რომ კაცს მოელი სხეულის სისხლი გაფუჭებული ჰქონდეს, ერთს ადგილას მუწუკმა გამოხეთქოს და მხოლოთ ამ მუწუკს დაუწყოს წამლობა. Ამით სხეული ვერ მორჩება; სისხლს უნდა გაკეთება და წამლობა, თორემ ერთს ალაგას მორჩენილი მუწუკი, ცოტა ხანს შემდეგ მეორე ალაგას გამოხეთქავს.

Სახელმწიფო წყობილობა იმნაირად უნდა იყოს გამართული და მოთავსებული, რომ ერთს რომელსამე საზოგადოების ნაწილს ანუ წოდებას არ შეეძლოს მეორესი დაჩაგვრა და შევიწროება.

ს. ვ.

ფელეტონი

სცენა ხალხის ცხოვრებიდგან

(Მარანში სხედან Თანდილა, Ივანე, Ზოგია და ოთხიც სხვა ახალგაზდა ბიჭები; სხედან ქვევრის პირას და ღვინით იბრუჟებიან).

Თ ა ნ დ ი ლ ა. Აბა რას იტყვით, ხუთიოდ საპალნე უნდა დაიძახოს ამ ყურძენმა, მგონი.

Ზ ო გ ი ა. Ფენაცვალე ჩემ წილ მოწყალე ღმერთსა, მაქვს ეგრე ხუთიოდ საპალნის იმედი.

Თ ა ნ დ ი ლ ა. Მაშ ეხლა კი დააქორწილებ Ივანესა განა!

Ზ ო გ ი ა. Წინ რაღა უდგია! Ვაპირებ ღვთის მადლით და თქვენი შემწეობით; აგერ სამი წელიწადია ვემზადები, მაგრამ მკვდრების ვალს ველარ ამოუველი, ხან პური არ მომივიდა, ხან ღვინო და ამაობაში რჩებოდა საქმე, ახლა კი დავაქორწილებ და დავაქორწილებ.

Ი ვ ა ნ ე. Აბა, ბიჭებო! Ახსენეთ ღმერთი და შედექით საწურავათ. (Ადგებიან, დაიკარწახებენ, გადიბანენ ფეხებს, დაიწერავენ პირჯვარს და ჩადგებიან საწნახელში; გადახვევენ ერთმანეთ ხელსა და შამოსძახებენ სხვა და სხვა სიმღერაებსა, ტკბილი დაიძახებს და ხუხუნით გადმოდის თალარში. Დედაკაცები მაარბენინებენ ქვაბებს და ჩაფებს).

Ზ ო გ ი ა. Რა გინდათ, დედაკაცებო?

Დ ე დ ა კ ა ც ე ბ ი. Ტკბილი გვინდა ჩურჩხელებისათვის.

Ზ ო გ ი ა. Თქვენი აღდგომა და ჩურჩხელების კეთება ეხლა არის. წაიღეთ, წაიღეთ, ვინ ლოკ კაი ჩურჩხელები გააკეთოთ ახალ-წლისთვინ.

Ი ვ ა ნ ე, Ზ ო გ ი ა და Თ ა ნ დ ი ლ ა (ბიჭებს). Ჯან, ბიჭებო! Ჯან, დაჰკარით, ეგრე მადიანათ, თქვენი გამ'ენის ჭირიმე.

Თ ა ნ დ ი ლ ა. Დალოცოს ღმერთმა, თაფლის წვენივით არ გადმოდის ეე! ღმერთმანი, ისეთი ღვინო დადგება, რომ Ივანეს ქორწილში ხალხს სულ ერთიანად ამოგვიწყვეტავს ეე!

(Ამ დროს შემოდის დაბალ-დაბალი, ჭუჭი ულვაშებ გაკრეჭილი სომეხი, რომელიც შამოთრევს ცარიელ რუმბსა, ხელში უჭირავს დავთარი და შჩოთქი).

Ა რ ტ ე მ ა. (გაჯავრებით). Გამარჯვებათ. Ვა, რატომ არ მატყობინებთ?

Ზ ო გ ი ა. Აკი შეგიტყვია და მოხველი.

Ა რ ტ ე მ ა. Შემიტყვიან რას ჰქვიან, შენ პირობა გქონდა, დაწურვაში მე უნდა ვყოფილვიყავ.

Თ ა ნ დ ი ლ ა. Ართემ, სუნით გაგიგია, თუ როგორ იყო შენი საქმე!

Ა რ ტ ე მ ა. (გაჯავრებით). Განა მე უშანოხი ძაღლი ვარ? Მაგრამ ქართველი ეგა ხართ: საქმე გაგიჭირდათ, ტუჩებზედ თაფლი წაისვამთ, ხელი გაიმართავთ, მერე დარიშხანას წაისვამთ. Ზოგია, შენ რატომ დაწურვა არ მატყობინებ?

Ზ ო გ ი ა. Სულ ერთი არის, ხომ მოხველი-და.

Ა რ ტ ე მ ა. Იქნება, ემე, რა ქვიან, წყალი დაგისხამს.

Ზ ო გ ი ა. Როგორი უნდო კაცი ყოფილხარ ეე! ჩემი ძმის ქორწილს ვემზადები, ღვინო საგანგებოთ მინდა, და წყალს დავასხამდი!

Ა რ ტ ე მ ა. Ოთხი საპალნე ტკბილი მე უნდა წავიღო და ამას რაღა დარჩება, აი ტუტუცი ქართველი.

Ზ ო გ ი ა. Რას ამბობ, აქ ხუთი საპალნის იმედი მაქვს და შენი ორი საპალნე არ ამოვა.

Ა რ ტ ე მ ა. (გაჯავრებით). Ვა, რას ამბობ, მე შენგან ოთხი საპალნე მერგება.

Ზ ო გ ი ა. Კაცო, რას ჯავრობ, ანგარიში ხო კატას არ მოუჭამია, ვიანგარიშოთ ეე! Პატიოსან კაცთან, თუ გერგება, ვინ დაგიჭერს.

Ა რ ტ ე მ ა. (Ბადაშლის დავთარს, მოამზადებს ჩოტკს, ჩამოჯდება კუნძზედ). Აი, ვიანგარიშოთ, კარგა ყური დაუკდეთ: Ზოგიას რო დედა მოუკვდა, ოცი ლიტრა კამეჩის ხორცი წაიღო, ოცი ექვსი შაური, ექვსი მანეთი იქს; ხუთი მანეთი ცხვარი, ეს თერთმეტი მანეთი; ერთი ზურგიელი ბზობას რო გაუჭერი დედას, სამი მანეთი, — ეს იქს თოთხმეტი მანეთი; ორი შოლტი ქალამანიც, ორი მანეთი, — ეს თექვსმეტი მანეთი; სამი ლიტრა ბრინჯიც, სამი მანეთი, — ეს ცხრამეტი მანეთი.

Ზ ო გ ი ა და Თ ა ნ დ ი ლ ა. Რას ამბობ, კაცო, ლიტრა ბრინჯი მანათათ გაგონილა, რო აგრე დაგიწერია? Ლიტრა ბრინჯი ბევრი, ბევრი, სამი აბაზი, ცამეტი შაური! მე და ჩემა ღმერთმა, შენგან კაცმა არა უნდა ივაჭროს-რა.

Ა რ ტ ე მ ა. Მამა გიცხონდა, წელიწადი თორმეტი თვე აქვს, ნისიათ წაგიღიათ, მაშ რითი მოვიგოთ ფულები! (ანგარიშობს) Რამ დამავიწყა, ცხრამეტი მანეთი იყო, ერთი გირვანქა წმინდა ლურსმანი, დედიშენის კუბოს დასაჭედათ რო წამოიღეს, — ორი აბაზი, ათი პარაშოკიც ერთია, ერთი მანეთი, — ეს ორი თუმანი და ორი აბაზი; ერთი აბაზიც პიტნის ჩაი, — ეს იქს ორ თუმანი და ერთი მანეთი, შაქარიც წაგიღიათ ორი გირვანქა, ესეც ოთხი აბაზი.

Ზ ო გ ი ა. Რას ამბობ, კაცო, შაქარს გირვანქას ორ აბაზათ ჰყიდი? ქალაქში გირვანქა სამი შაურიაო.

Ა რ ტ ე მ ა. Ვა, აი ტუტუცი, მოდი მოგცემ ერთი მანეთი, ქალაქს წადი, ერთი გირვანქა შაქარი მომიტანე. Ახლა ქალაქში შაქარი ფუთი

დღიური

*** სამს ყურადღების ღირსს საგანზე იყო გასულ ორშაბათის ქალაქის რჩევაში მოლაპარაკება: ქუჩების ცუდს მდგომარეობაზე, ხორაგეულის სიძვირეზე და ქალაქის ფანრების რიგიანათ გაუნათებლობაზე.

პირველს საგანზე ილაპარაკა კ ქ. მამაცოვმა. სხვათა შორის, იმან სთქვა, რომ უმთავრესი ყურათღება ქალაქის გამგეობას მხოლოთ ორ ქუჩაზე აქვს მიქცეულია: ბალავინის პროსპექტზე და მიხაილოვის მოსსეზედ. დანარჩენი ქუჩები თითქო არ არსებობენო ქალაქისათვის. ქუჩები მარტო არისტოკრატებისთვის, დიდ კაცებისათვის კიარ უნდა იყოს, მთელი ქალაქის მცხოვრებლებისთვის უნდა იყოსო.

რჩევამ გადაწყვიტა, რომ ამ საგანზე მოლაპარაკება და რასმე გადაწყვეტა მხოლოთ მაშინ შეიძლება, როდესაც ჩვენ დავხედავთ ქალაქის სმეტას (მე-მოსავალ-გასავალის ანგარიშს), რომელიც იბეჭდება და მალე წარუდგენენ რჩევას გასახილველად და დასაბეჭდავად.

მეორე საგანზე—ხორაგეულის გაძვირებაზე—ახირებული აზრი წარმოსთქვა უფ. ქ. ლ. ელიმირზოვმა: რადგან ქალაქის ბამგეობა მუდამ ადგენს ტაქსას, მაგრამ იმას არასოდეს არ ასრულებენ ჩვენს ქალაქშიო, კარგი იქნებაო, რომ დროებით, გამოსაცდელად, სრულებით მოვსპოთ ბაზარში ტაქსაო. მთელი რჩევა წინ ალუდგა ამ ჰაზრს. უფ. ხმოვანმა ალადათოვმა წარმოსთქვა საფუძვლიანი ჰაზრი, რომ ქალაქში ხორაგეულის გაძვირების მიზეზი ჩარჩები არიანო, რომელნიც რიყეზე და სხვა ალაგებში უხვდებიან სოფლელებს და ჯოგის პატრონებს, ყიდულობენ და შერე ერთი-ორად ჰყიდიანო. მიაქციეს აგრეთვე ყურადღება ბაზარნიკებს. საზოგადოთ კი აღმოჩნდა, რომ ხორაგეულის გაძვირების მიზეზი, სხვათა შორის, ომიანობის მოლოდინის გამო, ჩვენს მხარეში დიდ-ძალი ჯარის მოგროებაც არისო.

უფ. ვ. ი. სურგუნოვი კიდევ ამხედრდა ქასუმოვის წინააღმდეგ, იმის ხანგრძელივისა და მჭევრმეტყველურის სიტყვის შემდეგ, რჩევამ გადაწყვიტა, რომ აარჩიონ ორი პირი, რომელთაც თვალ-ყური ეჭიროსთ ფანრების რიგიანად განათებაზე.

*** კავკასიის სამასწავლო მაზრის მზრუნველს განკარგულება მოუხდენია, რომ ორ-კლასიან ქალაქის სასწავლებელში, რომელიც ალექსანდროვია პედაგოგაურ ინსტიტუტთან არის გახსნილი, დააწყებინონ ქართულ ენის სწავლება.

*** „კავკაზს“ გაუგონია, რომ ამ მოკლე ხანში ორ ჩვენს ქალაქში—ერივანში და ბაქოში შემოიღებენ ახალ ქალაქის გამგეობასაო.

*** ბაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა შესახებ კავკასიის გამიჯვნისა:

„1862-დან კავკაზიის აქეთა მხარეს ახალი სასამართლო დაწესებულების გახსნამდინ ჩვენში იყო გასამიჯნავი პალატა და კომმისსიები; ამ სასამართლო დაწესებულების შემდეგ ახლა მოვალეობა გაძიჯვნისა აწევს სამოსამართლო პალატას და ოლქის სასამართლოს, რომლისთვისაც პალატაში და ოლქის სასამართლოებში არიან დანიშნული ცალკე პირნი. ამ გვარი დაწესება იმიტომ იყო უფრო შემოღებული, რო შეამოკლონ გამიჯვნის მართველობაზე ხარჯი.

„ეხლა ყველაზე სასარგებლო და საინტერესო იქნება მხრისთვის, რომ რაც შეიძლება მალე შეასრულონ კავკასიის აქეთა მხრის გამიჯვნა. ერევნის, ელისავეტოპოლის და ბაქოს გუბერნიებში ესაქმე სიძნელეს წარმოგვიდგენს, რადგან დიდი გუბერნიებია, ერევნის გუბერნია შეიცავს 2,400,000 დესიატინას, ელისავეტოპოლის გუბ.—3,800,000 დეს. და ბაქო —3,400,000 დესეტინას); თფილისის და ქუთაისის გუბერნიებშიაც გამიჯვნის საქმე არა-ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან აქ მამულის მფლობელობის საქმე ერთობ არეულ-დარეულია; ამ მიზეზების გამო, საჭიროა, რომ რაც შეიძლება გაამრავლონ გამმიჯნელ პირთა რიცხვი და მოსპონ სხვა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები:

„თუ რა შრომა მოელის კავკასიის აქეთა მხრის გამიჯვნის საქმეს, ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ ანგარიშს—თუ რამდენი უშრომიათ გამმიჯვნელ სასამართლოებს 1862 წლიდამ წლევანდლამდის:

		სულ არის დესიატინა	გამიჯნული
თფილ.	გუბ.—	3,500,000	1,225,216
ქუთაისის	—	1,800,000	275,030
ელისავეტოპ.		3,800,000	371,851
ერევნის	—	—2,400.000	189,492
ბაქოს	—	—3,400,000	52,151

რჩება გასამიჯნავი:

თფილ.	გუბ—	2,274,784	დესიატინა
ქუთაისის	——	1,524,970	—
ერევნისა	—	—2,210,508	—
ელისავეტოპ.	—	3,428,149	—
ბაქოს	გუბ.—	3,447,849	დესიატინა.

სულ—12,886,260 დესიატინა

„აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამიჯვნელნი პირნი ამ ხუთ კავკასიის აქეთა მხრის გუბერნიაში არიან მხოლოთ 70, მაშინ როდესაც რუსეთში მარტო ჩერნიგოვის გუბერნიის გასამიჯნავათ დანიშნულია 150 პირი.

„ამისთვის, რომ უფრო რიგიანათ და ჩქარა წავიდეს გამიჯვნის საქმე კავკასიაში, უმაღლეს მთავრობაში არის მოლაპარაკება, რომ დანიშნონ ცალკე გამგებელი მთელი კავკასიის გამიჯვნის უწყებისა.“

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორი, მარტის 4-ს. ქაი ხანია ჩვენს საზოგადოებაში იბადება ქართული თეატრის წარმოდგენის სურვილი და ღვთის წინაშე დროც იყო, რომ ეს სურვილი საქმეთაც გარდაქცეულიყო, ერთი იმ ქართული თეატრის სიყვარულის გამო, რომელიც ჩვენს ხალხშია აღძრული და მეორეც იმ გარემოების გამო, რომ ბორის საქალებო სასწავლებელს დიდი ხანია ეჭირვება მაგგვარი საშუალებით მაიცაა შემწეობა.

ამ ხსენებულ კეთილ მიზანის გამო ზოგიერთა კეთილ მოსურნეთ თაოსნობით ამ თვის სამს წარმოადგინეს ზ. ანტონოვის ორ-მოქმედებიანი პიესა „ქმარი ხუთის ცოლისა“. წარმოდგენა გაიმართა ქრუჟოკის ზალაში; მაგრამ სამწუხაროდ, რადგანაც დეკორაციას დიდი ალაგი დასჭირდა, სკამებისთვის ცოტა ალაგი-ღა დარჩა. ბილეთები სულ ოცი თუმნისა იყო და ისე დაიტაცეს, რომ ბევრნი ვინც ვერ მოასწრო გულ ნაკლულათ დარჩნენ და ზოგნი კი უბილეთოთაც ფულით შედიოდნენ და აქა-იქ კუთხეებში და ფანჯრებში იდგნენ.

რაც შეეხება თითონ თამაშობას, ისეთ ნაირად მოხერხდა, რო მოსალოდნელიც არ იყო. ბევრი ნაწილი აქტიორებისა და აქტრისებისა სრულებით გამოუცდელნი იყვნენ თეატრის საქმეში, მაგრამ საქმე ისე გვარიანათ წაიყვანეს, მეტადრე ქალებმა, რომ დახელოვნებულ მოთამაშეთ მიიღებდით. უოველივე კრიტიკა აქ უადგილოა გარდა იმისა, რომ ცოტა ჩქარობდნენ და ხმაც ძრიელ დაბლა მოსდიოდათ; მეტადრე აბაშიძეს, რომელიც სვიმონის როლს არდგენდა ხმის უქონლობა ამახინჯებდა; ამასთანავე გლეხებიც ჩხუბი ცოტა უხეიროთ მოუვიდათ. მაგრამ თეატრის ნიჭი უფრო ეტყობოდათ მოურავის როლის მოთამაშეს თ. მ. თარხანოვს, მამასახლისისას თ. ზ. თარხანოვს, იორდანესი აღ. თუთაევს, მეგემე თათრისა თ. მაჩაბელს, იმერლის ქალისა მ. ივანოვისას და ქართველი ქალისა დაფქვიევისას. საზოგადოთ დეკორაციაც ძრიელ მშვენიერი და მოხდენილი იყო.

ქართული წარმოდგენის გათავების შემდეგ, წარმოადგინეს რუსული პიესი „Ради копѣйки“. ამის თამაშობაც მშვენიერად წავიდა.

ბოლოს, ეგეც რო გათავდა, ლეკური თამაშობა და ტანცაობაც გაიმართა, სადაც საზოგადოს ყურადღება დაიმსახურა გამოჩენილ ლეკურის მოთამაშემ ლ. აბაშიძემ. ანტრაქტების დროს მუზიკა უკრავდა და სხვა ოთახში გაძართული იყო ბუფეტი, იმავე მიზნის სასარგებლოთ,

---

თორმეტი მანეთიაო. მე და ჩემა ღმერთმა, მე მეტს არაფერს დავწერ, რათ მინდა თქვენი საცოდაობა.

ბ ო ბ ი ა. შენ იცი და შენმა ღმერთმა!

ა რ ტ ე მ ა. ქიდევ წაგიღიათ ერთი ჩარექი ერბო, ეს ორი მანეთი, —ეს იქა ორი თუმანი ორი მანეთი და ოთხი აბაზი.

ი ვ ა ნ ე. რას ჩადი ეე! დუმას ჩარექს მანეთათა ჰყიდი?

ა რ ტ ე მ ა. დუმა სხვაგან მოიკითხე, განა მე დუმას გავყიდი; ჰო, რამ დამავიწყა, ვექილის ქალალდი რო წაიღე ერთი აბაზიც, —ეს სულ დაიჭერს ორი თუმანი და სამი მანეთი.

ბ ო ბ ი ა. ი ვექილის ქალალდი ხო ხუთ კაპეიკიანი იყო, მწერალმა სთქვა კანწერელიაში.

ა რ ტ ე მ ა. ვა, ხუთ კაპეიკათ ხაზინაში იყიდება, დუქანში? ე. მოვრჩით; ახლა—ძველი ნისიაც იყო თუმანი, ამას თავის სარგებელი ხუთი მანეთი აქვს, სულ დაიჭერს სამი თუმანი და რვა მანათი. ჰო, მოგახსენებ, დავთარში არ ჩამიწერია, ორი ლიტრა მარილი და ორი ოყეილი ქონის სანთელი, ხუთმეტი ძაური და სამი კაპეიკი; სულ დაიჭერს სამი თუმანი, რვა მანეთი, ხუთმეტი ძაური და სამი კაპეიკი; თუ ბდა ეს სამი კაპეიკი შენთვინ მიჩუქნია. (ბუგდებს შოტკიდგან ოქი).

თ ა ნ დ ი ლ ა. (აქამდინ გაჩუმებული ყურს უგდებდა). ქაკო, რა საქმეს გიმზრებათ ე კაკი, ყველაფერი მამასი ხლათ უძლევია და ნისიის სარგებელსაცა გთხოვთ?

ბ ო ბ ი ა. რა ვიცი, მე ამის ჩოტკი-ჩუტკისა არა ვიცი-რა და ჩემის ანგარიშითა ამისა ჩემზედ სამ თუმანზედ მეტი აო უნდა იყოს.

ა რ ტ ე მ ა. მამავ, წელიწადს აქვს თორმეტი თვე. თვეს ოც და თორმეტი დღე, წელიწადს სამას სამასსამოც-და-რვა დღე, ამოტელა ხანში ჩემ ფულმა სარგებელი არა ქონდა!

ბ ო ბ ი ა და ი ვ ა ნ ე. ნისიათ რო გვაძლევ და ძვირათა, ნისიის ფულში რაღა სარგებელი უნდა მოგცეთ?

ა რ ტ ე მ ა. სარგებელი რისთვის უნდა მოგცეთ? ა რისთვის: ნისიაზედ ერთი რამდენჯერმე უნდა წავიდე და მოვიდე, თანაც სახედაი უნდა ვატარო; ამაობაში იმას ნალები უცვდება! ღმერთმანი, სამი კვირა არის სრული დაჭედილი ჩექმები მიყიდნია, სამი მანეთი ფული მიმიცია, ნისიაზედ სიარულით, ღმერთმანი, სულ გამცვეთია (ჩექმების ძირს უჩვენებს) ახლა ვთქვათ, გამაჯანჯლეთ, უნდა წავიდე მამასახლისთან, ვიჩივლო, სუდიასთან ვიჩივლო, ამათ უნდა ქრთამი მივსცე, სადილი დავპატიჟო, — ყველას თავისი ანგარიში არ ქონიყო, ვერ გაფულიანდებოდა კაცი.

ი ვ ა ნ ე. ჩვენ ხო არ გაჩივლებთ და ისე გაძლევთ, ჩვენ რატო იაფათ არ გვაძლევ?

ა რ ტ ე მ ა. შენ რო არ მაჩივლებ კარგია, სხვა ჯანჯალი მაჩივლებს, შენი და იმისი ერთმანეთში უნდა გამოვიდეს.

ი ვ ა ნ ე. ჩემო ართემ, შენ ნისიაში სულ მოგცემთ საპალნე ნახევარს, ბეერს ლაპარაკს თავი დავანებოთ.

ა რ ტ ე მ ა. (გაჯავრებით). ბიჭო, სულელო, საპალნე შენი ძმამ თუმნათ დამიკვეთა, როცა პირველი ნისია ვიანგარიშეთ; ჩემი ფულმა არის თქვენზედ სამი თუმანი, რვა მანეთი, თხუთმეტი შაური და სამი კოპეიკი; ვთქვათ ეს სამი კოპეიკი მიჩუქნია, მე მერგება სამი საპალნე და ოც-და-ათი ჩაფი.

ბ ო ბ ი ა. ტყუნის, აჰა! მე შენთვის საპალნე თუმნათ არ დამიკვეთნია.

ა რ ტ ე მ ა. ტყუნის პირი.... შენ ეგრე გქონდა გარიგება, ჩვენი ოხანეზაც იქ არ იყო?

ბ ო ბ ი ა. მელამ თავისი კუდი მოწმათ მოიყვანაო; შვილო, ისიც ისეთი უსულოა, როგორც შენა.

ი ვ ა ნ ე. თუ გინდოდეს წაიღე, როგორც გეუბნები, თუ არა აქედგან გამეცალე.

ა რ ტ ე მ ა. ბაგეცალო, ვა, მამე ჩემი და გაგეცლები, ეგ არის ქართველი უნამუსო პირი რაღა!

ი ვ ა ნ ე. (ბულმოსული). უნამუსო შენა ხარ, შენ სალავათ ძაღლო, რო ნისიის სარგებელსაც გვთხოვ! (მივარდება, წაართმევს დავთარს, წამოაგდებს კუნძიდგან, დავთარს თავში მიარტყამს). დაიკარგე შენ ულმერთო აქედგან, თორემ შემამაკვდები.

ა რ ტ ე მ ა. (შეიქს ყვირილს). მომკლეს, მომკლეს, მიშველეთ! მოიცადეთ, მე თქვენ ციმბირში გაგგზავნინებთ, ოკრუჟნი სუდში, პალატაში, სენატში გიჩივლებთ (გაიქცევა).

ბ ო ბ ი ა. (ივანს). რა ქენი, კაცო? სწორეთ ციმბირში დაგვაკარგვინებს.

ი ვ ა ნ ე. ჯანი გავარდეს; კაცი რახან დაიღუპოს, დაიღუპოს! ამაზედ მეტს რაღას გვიხამენ; წლითა წლობამდი ჩვენი სარჩო ბაგათ მიაქვთ, ჩვენ მარტო სულებიღა გვრჩება და თუ სულს ამოგვხდიან, წაიღონ, რა ვქნათ!... (ისმის მარდხა ურიის ხმა).

ალექსანდრე ქავთელი

(დასასრული შემდეგ №-ში)

რომლიდგანაც ნაღდათ შემოვიდა 77 მ. და 45 კ. ასე რო თითქმის ყოველივე ხარჯს ბუჯეტის შემოსავალი დაჰფარამდა და ბილეთების ფული 200 მანეთზედ მეტი საქალებო სასწავლებლის სასარგებლოთ დარჩებოდა.

საზოგადოება ძრიელ კმაყოფილი დარჩა და სრული მოიმედენი ვართ, რო, როგორც ისმის, ამ ახლო ხანებში „მეორე ინდაკნეი ნა გავხდეს“ წარმოდგენასაც გვაჩვენებენ, რადგანაც დღეის იქით მშვენიერი დეკორაცია უკვე შეძენილი აქვთ და მოთამაშენიც გამართულნიც არიან და მგონი დამბრკოლებელი მიზეზი აღარა უნდა იყვეს რა.

სხვა ახალი ამბავი რაღა მოგწეროთ? წარსულ თებერვლის დამლევს ერთი სამთავისელი მილიციონერი გამოპარულიყო თფილისიდგან; შინ რო მოსულიყო, ერთ დუქანში ღვინო ჩამოე ხმევინებინა და იქ მყოფ ხალხისათვის ეთხოვა იმის შესანდობარი ესვათ. მერე სახლში ცოლთან შე ულიყო და ჩვეულებრივი ალერსის შემდეგ იმასაც გამოსთხოვებოდა, „საუკუნოთ ვეღარ განახამო“, და ცოტა რო გასცილებიყო სახლის კარებს, საბძელში შესულიყო და ხანჯალიდაეცაგულში.

ურიგო არ იქნება ყურადღება მიაქციონ ბორში (ვისიც რიგია) მეფაეტონებს, რომ ისეთ ნაირი დახოცილი ცხენები უბიათ, რომ კატის კნუტების ძალა აქვთ.

რამდენჯერ მოძხდარა, რო ტალახების გამო ანუ სიჩქარისა ჩამსხდარან და სადმე შუა ტალახებში მთელი სამ საათამდინ აწვალებენ კაცს! ამას წინეთ ორი ახლად მოსული ღენერალი ჩამსხდარიყვენენ და ერთ ტალახიან ქუჩაში მთელი სამი საათი გასტანჯეს, სანამ მეორე ფაეტონს მოიყვანდნენ. ამ ორ დღის წინეთ ერთი სახლობა ეაგზალზე აპირებდა წასვლას, ფაეტონი მოიყვანეს თუ არა, შემოტრიალების დროს ცხენმა წაიბორძიკა, მერე მკერდზე დაეცა და სანამ ფაეტონის თასმები არ დააჭრეს ცხენებს, კინალამ იქვე ფეხები გაჭრმა.

თებერვლის ბოლოს რიცხვებში აქ კარგი დღეები დაიჭირა, მაგრამ, გათენდა თუ არა მარტი, ისევ ქარიშხალი და წვიმები ასტყდა.

ილ. ალხაზაშვილი

ქახის შკოლა საინგილოში

ვიდრე მთელ საინგილოში დაარსდებოდა ერთათ-ერთი წე იერათ დაფუძნებული სახალხო შკოლა — ქახისა, აქ ყოფილა შკოლა ძველებური მიძართულებისა და ფორმისა, შკოლა პრიჩეტნიკებისა და დიაჩოქებისა, რომელშიაც სწავლობდა არამომეტებული ათ ყმაწვილზე. 1868—1869 წლებში მართლ-იადიდებლობის აღმადგინელმა საზოგადოებამ ისურვა სამუდამოთ ბოლო მოუღოს იმ შეუბრალებელ და არა-კაცურ წრთვნასა უმანკო ბავშვებისა, რომელნიც დაიარებოდნენ ამ შკოლაში, და დააარსა შკოლა ახალი მიმართულებისა, ახალი წყობილობისა, ე. ი. ის შკოლა, რომელსაც ამ ჟამათ ჩვენა ვხედავთ სოფელს ქახში.

რვა წლის განმავალობაში ეს შკოლა იყო ერთათ-ერთი განათლების მისამართი სოფლელებისა, ერთათ-ერთი წყარო იმ ელემენტალური ცნობებისა, რომლებმაც უნდა დაჰსდონ კაცში საფუძველი მის მომავალი გონებითი, ზნეობითი და ფიზიკური გაღსნისათვის. და მართლაც, თუ არ ეს შკოლა, ჩვენ ვერ ვეღირსებოდით იმ ახალ-გაზდების ხილვას, რომელნიც სწავლობდნენ, ანუ ეხლაც სწავლობენ, ჯერ ამ შკოლაში და შემდეგ სხვა შკოლებშიაც; და რომ მართლა ქახის სახალხო შკოლა ბევრით შეეწია ყველა ზემონათქვამს, ცხადათ ჰსჩანს იქიდამ, რომ არც ერთს მთელი ზაქათალის მაზრის ინგილოს სოფელში, არ იპოება იმდენი ნასწავლი ახალ-გაზდა, როგორც სოფ. ქახში. ჯერ ქახის და შემდეგ ზაქათლის სამაზრო შკოლის წყალობით ამ ჟამათ ეხედავთ იმასა, რომ სამი კახელი სწავლობს სამოსწავლებლო შკოლებში და ორიც იალტის (ურიმში) საბალო შკოლაში. ეს ცოტაა: ახლა რამდენია წესიერათ აღზრდილი და ნასწავლი ყმაწვილი!

ერთი სიტყვით, მე მსურს ესთქვა, რომ ქახის შკოლამ მოიტანა არა ცოტა სარგებლობა. მაგრამ, თუ ჩვენ უფრო ღრმათ დავაკვირდებით ჩვენგან აღძრულ კითხვას, მაშინ გულდაღონებით დავინახავთ, რომ ქახის შკოლამ იმ სახსრებით, იმ შკოლის მოწყობილობით, რომელიც ჰქონდა და ახლაც აქვს და ამასთან სპეციალურათ მომზადებული მასწავლებლებით, არ მოიტანა მეათედი ნაწილიც იმ სარგებლობისა, რომლის მოლოდინი იქნებოდა ყველა, ვინც კი იცოდა რამდენსა ხარჯავდა და ეხლაც ჰხარჯავს ამ შკოლაზე მართმადიდებლობის აღმადგინელი საზოგადოება.

რ გორც ზემოთა ვსთქვი, შკოლა არსებობს აი მერვე წელიწადი. სწავლა გრძელდება ოთხი წელიწადი. ერთ მასწავლებელს ადვილათ შეეძლო ესწავლებინა 40—50 შაგირდისათვის და რადგანაც მასწავლებელს ჰყავს თანაშემწე, გამოდის, რომ ქახის შკოლაში შეიძლებოდა 60—70—80 ყმაწვილის სწავლება. ახლა თუ მივიღებთ მხედველობაში ოთხი წლით სწავლას გამოვა, რომ ქახის შკოლას ამ დრომდი უნდა ეჩუქებინა ჩვენთვის 120—140 კურს-დასრულებული მოწაფე, და თუ ამდენი არა, უკანასკნელი 80—100 შაგირდი მაინცა; ამ შკოლამ კი გვაჩუქა ჩვენ მხოლოდ ხუთმეტიოდე კურსდასრულებული მოწაფე და ესენიც იმისთანაები, რომლებმაც ერთი, ორიოდეს გარდა, ნასამედათაც არ იციან ის, რაც შეიძლებოდა და რაც უნდა მიეცა მათთვის შკოლას.

რითი ავღსნათ ეს სამწუხარო მოვლინება? რას მივაწეროთ ის, რომ შკოლაში ყოველ წელს სწავლობს არა-ნაკლები 60—70 შაგირდზე, რვა წლის განმავალობაში კი ეს შკოლა გვაძლევს ჩვენ მხოლოდ 12—15 კურს-დასრულებულ მოწაფეებს და ამათაც როგორებს? მგონია, ღირსი იქნება, რომ ამაზე ცოტა მაინც იყოს ესთქვათ რამე.

ამ გვარი სამწუხარო მოვლინება ადვილათ აიღსნება, თუ ვიფიქრებთ, რომ არა ყველა ამ 60—70 შაგირდებიდამ სწავლობდა მთელი ოთხი წლის განმავალობაში: მომეტებული ნაწილი ერთი-ორი წლის სწავლის შემდეგ, ზოგი ხუთი-ექვსი თვის შემდეგ და ზოგიერთები რამდენიმე დღეს იქითაც სტოვებდა შკოლას, რომელთ ადგილზე მასწავლებელი იღებდა ახალ ბავშვებს. აი რა მიზეზია ზემოთქმული სამწუხარო მოვლინებისა და აი სად არის ტყუილ უბრალოთ ფულების ხარჯვა ხალხისა განათლებაზე. შევინახოთ შკოლა მხოლოდ იმისათვის, რომ ბავშვებმა, შკოლის ჰაერის ჩასუნთქვის შემდეგ, დასტოვონ სწავლა და სამუდამოთ გაჰსწყვიტონ კავშირი მასთან, ჩემი ფიქრით, როგორღაც არა ღირსეულათ საქმის დაჭერაა! თუ ჩვენ ვაარსებთ შკოლას, ჩვენივე სარგებლობა მოითხოვს, რომ წინათვე ყველაფერი, რაც კი ჭეშმარიტათ და მოკლე გზით მიგვიყვანს ჩვენ მიზნისადმი, გვქონდეს სულ დაწვრილებით აწონილი, გამოანგარიშებული. ჩვენ ვაარსებთ სოფელში შკოლას იმ ჰაზრით, რომ ეს ჩინებული და ვიღაცა დალოცვილისაგან გამოგონილი შევაყვაროთ ხალხსა, მისი შემწეობით ვუჩვენოთ მას სწავლის სარგებლობა და საჭიროება და სხვა ბევრი რამ, და ამის მაგიერათ ჩვენა ვხედავთ სრულებით წინააღმდეგს: ამდენი წლების განმავალობაში, ჩვენი ცოდვილი შრომით, მეცადინეობით, ხარჯით, ვერც ერთ სოფელს ვერ შთაუნერგეთ ნამდვილი სიყვარული შკოლისადმი, ვერ შთაუნერგეთ სწავლის საჭიროება და სარგებლობა; და სულ რა მიზეზით? — და იმ მიზეზით, რომ ჩვენ საქმეს ვიწყობთ წინ-დაუხედავათ:

წარმოიდგინეთ რომელიმე კეთილმომქმედი საზოგადოება, ანუ ვინმე კერძო პირი, რომელთაც გულითადი სურვილი აქვთ ხალხში განათლების დანერგვისა და რომლისთვისაც ესენი არა ჰზოგავენ არავითარ ხარჯსა. ამათი ფიქრი ეს არის: „მოდით ამ სოფელში დავაარსოთ შკოლაო და ნელ-ნელა შევაყვაროთ ეს უკანასკნელი ამ ხალხსო, თორემ რასა ჰგავს, — ქვეყანა წინ მიდისო და ამ ხალხს აქამომდე სძინავსო; მართალია, პირველათ ბევრი მოსურნე არ გვეყოლებაო, მაგრამ არა უშავსრაო, სოფლელები მალე დაინახვენ სწავლის სარგებლობასაო და შაგირდების რიცხვი თვითონ აიწევსო!“

მართლაც რომ დააარსეს შკოლა, ააშენეს მშვენიერი ქვითკირის საშკოლო სახლები კარგა ფართო მიწა-წყალზე, რომელიც საკმარისია ეზოსათვისაც და ბაღისათვისაც, მოაწყეს ის ყოველის ფრით, რაც კი საჭიროა მარდი და პედაგოგირი სწავლისათვის და აღზრდვისათვის, მასწავლებლათაც დააყენეს კარგათ თვის საქმის მცოდნე ახალ-გაზდა და იწყეს საქმე იმ ფიქრით, რომ სწავლა ყველას აგრძნობინებს თავის ძალას, თავის კარგობას, თავის საჭიროებას, თავის სარგებლობას. ხალხიც დიდ-კაცობისაგან, უფროსებისაგან დაიმედებული გულმოდგინებით ეკიდება ამისთვის უცხო საქმეს და ჰგზავნის თავის შვილებს შკოლაში. გადის ერთი წელიწადი, გადის ორი, სამი, ხუთი; ხალხი როგორღაც სხვანაირათ უყურებს ამ მართლაც რომ ჩინებულ საქმეს; ყველგან ისმის — შვილს არ გავგზავნი შკოლაშიო, აბა რას ასწავლის შკოლაო, აბა რვა წლის განმავალობაში შკოლამ რა გაგვიკეთაო? ერთი სიტყვით, ეგრეთი იმედებით დაარსებული შკოლა სრულებით ვარდება ხალხის თვალში და სიყვარულის მაგიერათ შკოლისადმი ჩნდება სიძულვილე, მტრობა, არა-სწორი შეხედულობა ამ საგანზე.

პირველი მიზეზი ამ გვარი მოვლინებისა, როგორც ზემოთა ვსთქვი, ის არის, რომ არა ყველა შაგირდი ასრულებს დადებულ სწავლას, არამედ მომეტებული მათი ნაწილი სტოვებს შკოლას უდროოთ. რასაკვირველია, როდესაც ხალხი ამბობს, რომ შკოლამ აბა რა გაგვიკეთაო, ამბობს მართალსა, მაგრამ იმას კი აღარ ფიქრობს, რომ ეს მარტო შკოლის ბრალი კი არ არის, თვით მისი ბრალიცაა, რადგანაც ის წესიერათ ყოველ-დღე არ გზავნიდა თავის შვილს შკოლაში, რადგანაც ოთხი წლის შაგირათ შარ ასწავლა თავის შვილი — ერთი — ანუ ორი წელიწადი. რასაკვირველია, ამათში იყვენენ იმისთანა მამებიც, რომლებსაც კარგათ ესმოდათ საქმე და თავის შვილებსაც წესიერათ აგზავნიდნენ შკოლაში; ერთი საათი რა არის, ამასაც კი არ დააკარგვინებდნენ მათ. აი ამ გვარი მამები ხდებიან შემდეგ პირველ უკმაყოფილო პირებათ მთელ სოფელში, და ყველგან იმას ქადაგობენ, რომ ჩემ შვილს ოთხი წლის განმავალობაში მუქთათ ვაჭამე, მუქთათ ვაცვი, შინ არაფერ საქმეს არ ვაკეთებინებდი იმ იმედით, რომ ოთხ წელს იქით ჩემი უსწავლელი და გონება-გაუხსნელი შვილის მაგიერათ, შკოლა დამიბრუნებს კარგათ ნასწავლ, კარგათ აღზრდილ ბიჭს, მაგრამ ვაი ჩემ თავსა, ეს რა მამივიდა, ტყუილათ რათ დავაკარგვინე ჩემ შვილს ამდენი დრო, შკოლამ სრულებით არაფერი არ ასწავლაო და სხვ... რასაკვირველია, ამ მამების უკმაყოფილებაც ძრიელ და ძრიელ მართალია, მაგრამ ესენიც იმასაც აღარ ფიქრობენ, რომ როდესაც ერთის მამის შვილი დაიარება შკოლაში მუდმისათ და მეორესი კი დღე-გამოშვებით, მაშინ იმათ შვილების სწავლასაც თითქმის იმდენივე აკლდება, რამდენიც არა-წესიერათ მოსიარულე შაგირდს, რადგან, როდესაც შკოლას აკლია დღეს ათი მოსიარულე შაგირდი, ხვალ ხუთი, ხვალზეით ხუთმეტი და ეგრე ყოველ დღე რამდენ-რამდენიმე, იქ მართლაც რომ მარდათ და კარგათ ვერ წავა საქმე და არა წესიერათ მოსიარულე შაგირდების წახდენის გარდა, ხდება მთელი შკოლაც.

ი. როსტომაშვილი

(დასასრული შემდეგ №-ში)

უცხო ქვეყნები

მოროგების საქმე

ფოჩტამ კიდევ თავისებურად, ძველებურად დაიწყო კოჭლობა; ერთი კვირა გადის, რაც არ მიგვიღია გაზეთები.

ქალაქში მოსული დეპეშები შემდეგ ამბებს გვაცნობებენ:

ინგლისის მინისტრების რჩევას გადაუწყვეტია 2 (14) მარტს, რომ მიემხრონ რუსეთის წინადადებას, რომ ევროპის ექვს უმთავრეესს სახელმწიფოთ საზოგადო პიროობა დასდვან შესახებ „აღმოსავლეთის კითხვის.“ ლორდ დერბისა და რუსეთის ელჩს ლონდონში გრაფ შუვალოვს ერთმანეთში მოლაპარაკება აქვთ იმაზე — თუ როგორი უნდა იყოს ეს პიროობა (პროტოკოლი). ღენერალი იგნატიევიც ამ ჟამად პარიჟიდამ ლონდონს წასულა, ალბათ, იმისთვის, რომ ამ მოლაპარაკების დროს იმანაც მიიღოს მონაწილეობა.

ოსმალეთი და ჩერნოგორია

სტამბოლიდამ მოსულ ტელეგრამამ გვაცნობა, რომ 5 (17) მარტს ოსმალეთის მინისტრების რჩევას გადაუწყვეტია, რომ უარი გამოაცხადოს ჩერნოგორიის მოთხოვნილებაზე. ეს მოთხოვნილება, როგორც მოეხსენება მკითხველს, მდგომარეობს იმაში, რომ ოსმალეთმა იმას (ჩერნოგორიას) დაუთმოს ნიკშიცის პატარა ციხე-ქალაქი და სპიტას ნავსადგური.

ჩერნოგორიას თავის მხრით გამოუცხადებია, რომ, თუ ოსმალეთი

არ დაუთმობს იმას, რასაც თხოულობს, მაშინ ის თანახმა არ არის მორიგებაზე და აღარ დაუბრუნებს Ოსმალეთს იმ ალაგებს, რომელიც ახლა ჯარით დაპყრობილ აქვს.

— ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ შემდგარა დიდ-ძალი პარტია რომელიც მიდჰხადფაშის დაბრუნებას თხოულობს. მოთავე პირები ატარებენ თურმე ქალაქს, რომელშიაც გამოცხადებულია თხოვნა ხონთქართან, რომ ეს Ოსმალეთისათვის გამოსადეგი კაცი დააბრუნოს ისევ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ და ღირსეული თანამდებობა მიანიჭოს. ზოგიერთს ქუჩებზე პროკლამაციები არის აკრულიო. ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ პოლიციას ბევრი ხალხი დაუტუსაღებია, რომელთაც ამ საქმეში მონაწილეობას მიღებას აბრალებდნენ.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ ნაციონალური კრებას გადაუწყვეტია, რომ სამართალში მისცენ დეპუტატი პოლ-დე-ᲙᲐᲡᲐᲜᲘᲐᲙᲘ, რომელმანც არა-ერთხელ მიაყენა ხსენებულ პალატასა და საზოგადოთ ახლანდელ რესპუბლიკურ მმართებლობას შეურაცხყოფა თავის ბონაპარტიულს გაზეთს „Pays“-ში.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲛᲝᲒᲑᲐ ამით აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესების მე-15 მუხლის ძალით, დანიშნული არის გასასყიდლად ბანკში გირაოდ შეტანილი უძრავი მამულები ქვემოხსენებულ პირთა, რომელნიც არ შემოიტანეს, ამავე წესებით დადებული სარგებელი ნახევარის წლისა წინათვე.

ᲐᲛ მამულების გასყიდვა შეჩერდება, თუ მოვალე პირები ხვედრ სარგებელს შემოიტანენ ბანკში:

1). ᲑᲔᲑᲣᲗᲝᲕᲘᲡ, დავით მელიქზადეს ძის. 208 დესიატინა და 378 ოთხ-კუთხი საქენი საშოვარი ადგილი ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნიის ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ უეზდში, სოფ. წყნეთის.

2) ᲖᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲐᲜᲓᲠᲘᲐ მიხაილას ძის. 106 დესიატინა და 320 ოთხ-კუთხი საქენი მიწა. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნიის ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ უეზდში, სოფლის ერთისს.

3). ᲨᲔᲛᲘᲐᲙᲘᲜᲘᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ივანეს ძის. ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ადგილით 235 ოთხ-კუთხ. საქენი. ქ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, მე-2 განყოფილების მე-16 უჩასტკაში.

4). ᲨᲐᲑᲣᲠᲘᲕᲘᲡ, ᲡᲝᲚᲝᲛᲐᲜ ივანეს ძის. Ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილით 300 ოთხ-კუთხი საქენი. ᲗᲤᲚᲘᲡᲨᲘ, 1 განყოფილების მე 6 უჩასტკაში, ᲐᲑᲐᲡ-ᲐᲑᲐᲗᲘᲡ მოიდანზე.

5) ᲢᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲛᲘᲰᲐᲘᲚ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ ძის. ᲝᲠ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ადგილი 72 ოთხკუთხი საქენი. ქ. ᲖᲝᲠᲨᲘ

6). ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲘᲡ, ᲐᲜᲢᲝᲜ იაკობის ძის. ᲝᲠ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ადგილი 37½ ოთხ-კუთხ. საქენი. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 1 განყოფილების 1 უჩასტკაში.

7). ᲨᲐᲠᲐᲯᲔᲕᲘᲡ, ივანე ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔᲡ ძის. ᲝᲠ-ეტჟიანი ქვითკირის სახლი, ადგალი 52 ოთხ-კუთხი საქენი. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 1 განყოფილების მე 9 უჩასტკაში.

8). ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲔᲚᲝᲕᲘᲡᲐ, ᲐᲒᲠᲐᲤᲔᲜᲐ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ ასულის. ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, ადგილი 69 ოთხ-კუთხი საქენი. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ მე-2 განყოფილების მე-14 უჩასტკაში.

9). ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲝᲕᲘᲡ, ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲐᲕᲔᲢᲘᲥᲘᲡ ძის. ᲡᲐᲮᲜᲐᲕᲘ ადგილი 37 დესიატინა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნიის გორის უეზდში, სოფ. ᲑᲠᲔᲗᲗᲐᲜ.

10). ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲝᲕᲘᲡ, ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ძის. ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, მასთან ადგილი 116 ოთხ-კუთხი საქენი. ქ. ᲖᲝᲠᲨᲘ

11). ᲐᲓᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲖᲘᲝᲠᲒᲘ, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ მოქალაქე. სასახლე ადგილი 90 ოთხ-კუთხ. საქენი შენობით. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 1 განყოფ. 1 უჩასტკაში.

12). ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘᲡ, გეურქ პავლეს ძის. ᲙᲐᲠᲘᲔᲚᲘ ადგილი 300 ოთხ-კუთხი საქენი. ᲗᲤᲚᲘᲡᲨᲘ, 2 განყ. მე-11 უჩასტკაში.

13) ᲞᲝᲢᲔᲑᲜᲘᲐᲡ, ᲕᲐᲡᲘᲚ ივანის ძის. 1 ᲝᲠ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, 2) ვენახი, ადგილი, სახლი და ბაღი 2400 ოთხ-კუთხი საქ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნიის ᲖᲝᲠᲘᲡ უეზდში სოფ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲨᲕᲜᲨᲘ.

14). ᲛᲐᲛᲣᲙᲘᲐᲜᲪᲔᲑᲘᲡ, ᲑᲐᲤᲠᲐᲢ და ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲖᲔᲣᲠᲥᲘᲡ ძეთ. ᲝᲠ-ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი, თავის ადგილით 143 ოთხ-კუთხი საქენი. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, მე-2 განყოფილების მე-13 უჩასტკაში.

15). ᲠᲣᲡᲘᲔᲕ-ᲥᲝᲠᲩᲐᲑᲐᲨᲕᲘᲡ, ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲖᲘᲠᲒᲘᲡ ძის. ერთ-ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი. თავის ადგილით 1425 ოთხ-კუთხი საქენი ქ. ᲗᲘᲚᲐᲕᲡ.

16). ᲣᲝᲠᲚᲐᲜᲝᲕᲘᲡ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲡ ძის. 252 დესიატინა და 600 ოთხ-კუთხი საქენი ადგილი, ᲗᲤᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნიის, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ უეზდში, სოფ. ᲨᲐᲘᲗᲡ და ვანეთში.

17). ᲓᲣᲠᲝᲕᲘᲡᲐ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘᲡ ასულის. ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ადგილით 187½ ოთხ-კუთხი საქენი. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, განყოფილების მე-11 უჩასტკაში, ანდრეევსკის ქუჩაზე.

18). ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲘᲡ, ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ივანის ძის. ᲝᲠ-ეტაჟიანი სახლი შენობებით, ადგილი 60 ოთხ-კუთხი საქენი. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 1 განყოფილების მე-3 უჩასტკაში № 271.

19). ᲙᲕᲔᲡᲐᲫᲘᲡ, ივანე ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ ძის. და ᲖᲐᲠᲘᲛᲘᲡᲐ, ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲛᲐᲖᲘᲡ ძის. 224 ოთხ-კუთ.ი საქენი. ადგილით. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 1 განყოფ. 1 უჩასტკაში.

20). ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲣᲠᲘᲡ, ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ivanეს ძის. ᲖᲕᲐᲠᲘ მარნით, ეზოთი 1 დესიატინა. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ უეზდში, სოფ. ᲓᲘᲚᲝᲛᲡ.

21). ᲛᲣᲠᲐᲓᲝᲕᲘᲡ, ivanე ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ ძის. ᲝᲠ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილი 32 ოთხ-კუთგი საქენი. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 1 განყოფ. 1 უჩასტკაში.

22). ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ivanეს ასულის შვიდმეტი ქვითკირის დუქანი. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 1 განყოფ. მე-7 უჩასტკაში და 2 განყოლების მე-14 უჩასტკაში.

23). ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ, ivლიტე ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ასული. ᲝᲠ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, 400 ოთხ-კუთხი საქენი მიწა ქ. ᲖᲝᲠᲨᲘ.

24). ᲢᲔᲠ-ᲛᲘᲙᲘᲠᲢᲘᲩᲘᲐᲜᲪᲘᲡ, ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠ, ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲡ ძის. ᲡᲐᲛ-ეტაჟიანი ქრითკირის სახლი. თავის შენობებით და ადგილი 634½ ოთხ-კუთხი საქენი. ქ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, 2 განყოფ. 12 უჩასტკაში, ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘᲡ ქუჩაზე ჩუღურეთში.

25). ᲗᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲡᲝᲚᲝᲛᲐᲜ ivანეს ძის. ᲡᲐᲮᲜᲐᲕᲘ და ᲡᲐᲑᲐᲚᲐᲮᲔ ადგილი და ტყე, სულ 297 დესიატინა და 2003 ოთხ-კუთხი საქენი. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნის ᲗᲤ. უეზდში, სოფლებში: ᲖᲘᲠᲑᲘᲗᲘᲡ, ᲬᲘᲕᲝᲠᲔᲗᲘᲡ და ᲐᲬᲣᲞᲘᲡᲨᲘ. (1— 1)

ᲛᲔᲘᲯᲐᲠᲐᲓᲠᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ მეორე გილდიის ვაჭარი **ᲮᲔᲩᲝ ᲐᲑᲐᲖᲝᲕᲘ** ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ვისაც თავის საკუთარის საჭიროებისათვის ჰყავთ ეკიპაჟის ცხენები, აგრეთვე საბიჭოფაეტონებისა და დროშკების ცხენები და ტვირთის გადატანისათვის, უნდა შემოიტანონ ჩემს კანტორაში გადასახადი, იმ კანტრაქტის ძალით, რომლითაც ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ქალაქის ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲛᲝᲑᲐ შემეკრა მე ამ თებერვლის 11-ს სამის წლის ვადით, ე. ი. ამ 1877 წლის 1-იანვერიდამ ვიდრე 1880 წ. 1 იანვრამდე.

ᲩᲔᲛᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ მე-6 უჩატკაში, 1 განყოფილებაში, თავად ᲑᲔᲑᲣᲗᲝᲕᲘᲡ სახლებში, ᲗᲐᲗᲠᲘᲡ მაედანზე, საიდამაც ჩემგნით დაყენებულის პირისაგან (პოვერენისაგან) მიიღებს ფულების შემოტანის კვიტანციას ჩემ ხელმოწერილს. ᲩᲔᲛᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ გახსნილია დილის 8 საათიდამ საღამოს 5 საათამდინ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(4 აპრილის სახსოვრად)

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ მაედანზე, ᲩᲘᲢᲐᲰᲝᲕᲘᲡ სახლებში ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ექიმი ᲛᲘᲜᲙᲘᲔᲕᲘᲩᲘ — ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚ ავათმყოფობისათვის, ᲖᲐᲠᲐᲚᲔᲕᲘᲩᲘ და ᲚᲘᲡᲘᲪᲘᲕᲘ — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘ და ᲛᲐᲠᲙᲠᲝᲕᲘ — შინაგანი ავათმყოფობისათვის, ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲕᲔ — თვალის ექიმი.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ — შიაგანი-ავათმ.ოფ., ᲫᲘᲣᲩᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘ — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘ შინაგან ავათმყოფობისათვის.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ და ᲐᲡᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘ — შინაგანი ავათმყოფობისათვის და ᲛᲘᲜᲙᲔᲕᲘᲩᲘ — ᲮᲘᲠᲒᲘᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

LA VELOUTINE

(ᲕᲔᲚᲣᲢᲘᲜᲘ)

ერთნაირი ბრინჯის **ᲙᲣᲓᲠᲘ** (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ᲘᲡᲔᲗᲘ ᲖᲔᲓᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ᲙᲐᲜᲡ ᲔᲙᲔᲠᲔᲑᲐ და არა სჩანს.

Ш. Ф а и — г а м о м г о н и

pommade satin

(ᲐᲢᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ)

ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—107

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
ᲖᲝᲠᲜᲘ . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ᲑᲔᲥᲐᲗᲣᲑᲜᲘ	—	—			4	42	2	46
ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐ .	—	—			5	81	3	23
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. .	8	23			6	75	3	75
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	—	—			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ .	—	—			8	57	4	76
ᲞᲝᲗᲘ. . .	11	44			9	75	5	42
ᲞᲝᲗᲘ . . .	8	40						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			1	18	-	66
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ.	—	—			2	6	1	14
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ .	11	51			3	4	1	69
ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐ. .	—	—			3	98	2	21
ᲑᲔᲥᲐᲗᲣᲑᲜᲘ	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ᲖᲝᲠᲜᲘ . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა .	—	—			9	8	5	4
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ	10	16	7	24	9	75	5	42

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ მიდის:

ᲝᲠᲓᲔᲡᲘᲡᲙᲔᲜ — ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ დილით.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ — კვირაობით, დილას.

ბ) ᲝᲠᲓᲔᲡᲘᲓᲐᲛ:

ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ — ᲮᲣᲗᲨᲐᲑ., ᲜᲐᲡᲐᲓ. 3 საათ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ — ᲝᲗᲮᲨ. ᲑᲐᲗᲡ, შუადღეზე

ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:	I		II		III	
ᲡᲮᲜᲣᲛᲐᲛᲓᲘ .	4	„	3	„	1	„
ᲫᲔᲠᲩᲐᲛᲓᲘ. .	20	50	15	50	5	„
ᲢᲐᲒᲐᲜᲠᲝᲒ.	34	„	27	„	8	60
ᲝᲠᲓᲔᲡᲡᲐᲛᲓᲘ.	38	„	30	„	9	60

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲤᲝᲗᲘᲡ . .	1	—
ᲖᲝᲠᲜᲘᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ, ᲡᲘᲚᲜᲐᲰᲘᲡ		50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲡᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ . .	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:

ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ გარეთ, ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ კვირას გარდა. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲗᲮᲨ., ᲝᲠᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ — პარასკ და ᲝᲠᲨᲐᲑ. ᲑᲐᲥᲝᲡ — ᲝᲠᲨ. სამშაფ. და შაბ. ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ — სამშ. და შაბ.

ბ) ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ:

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ დ. ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. ᲝᲠᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ — ᲝᲠᲨ. და პარასკ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲡ — ᲝᲗᲮᲨᲐᲑ.

გ) ᲖᲝᲠᲘᲓᲐᲛ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

დ) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲔᲜᲐᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ:	კაპ
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .	8

ᲑᲘᲠᲟᲐ

	მან.	კაპ
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 2 მარტს		
ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:	-	
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 3½ პენსი.	—	84
ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ 313½ სანტიმი.	—	89
ᲛᲡᲙᲝᲜᲢᲘ (სარგებლისფასი)	7½	-
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	95	25
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (პირველისესხი)	190	—
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (მეორე ᲡᲔᲡᲮᲘ)	190	50
ᲖᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲝᲪᲚᲔᲑᲘ:		
ᲗᲤᲘᲚ. ᲡᲐᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ.	84	--
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ (5½)	82	75
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ (5%). . . .	81	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲝᲠᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	250	—
ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚ.ᲠᲙᲘᲜ. ᲒᲖᲘᲡ	—	—
ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲔᲪᲮ. ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡ	497	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ. .	206	—
ᲞᲘᲠᲕ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖᲝᲒ.	727	50
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	235	50
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	269	—

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ.
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 7 მარტს.		
ᲞᲣᲠᲘ ᲨᲝᲠᲐᲒᲐᲚᲘᲡ ფთ.	1	20
ᲫᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ. . . .	—	87
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	5	60
— ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ. .	6	20
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲗ.	7	—
ᲛᲐᲢᲧᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲗ .	6	70
— ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲗ. .	4	—
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲡᲢ.	3	—
ᲫᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	4	—
ᲫᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	5	—
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, Ფ.	11	60
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲝᲠᲑᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ.	—	65
— ᲪᲮᲔᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ. .	—	72
ᲡᲞᲘᲠᲘᲢᲘ, ᲕᲔᲓᲠᲝ. . .	8	—
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	10
— ᲤᲣᲮᲕᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	5	40
ᲧᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ, ᲤᲣᲗᲘ .	20	—
ᲖᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲗ.	5	30
ᲝᲥᲠᲝ ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ. .	7	—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Марта 1877 г. Типографія Меликова и К°. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.